პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 იანვარი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 13 (14923)

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIV კონფერენცია

15 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIV კონფერენცია.

აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტთა 72-ათასიანი რაზმის საუკეთესო წარმომადგენლები — ძველი ბოლშევიკები, წარმოების სახელგანთქმული ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, საწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

XXXIV კონფერენცია ღირსსახსოვარი ნიშანსვეტია თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის სახელოვან ისტორიაში, რომელიც სამართლიანად ამაყობს თავისი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით. კონფერენცია მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობისათვის, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებით გამოწვეული პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში.

თბილისის XXXIV საქალაქო პარტიული კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა.

აირჩიეს კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოები: საქმიანი პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია და სამდივნო.

პრეზიდიუმში აირჩიეს: ვ. პ. მეკავანაძე, გ. დ. ჯამახიშვილი, ბ. ს. ძოწენიძე, პ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ა. გოზიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, შ. დ. კიკნაძე, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ბ. ბ. აბაშიძე, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ბ. ა. ანდრონიკაშვილი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ძ. ბ. აფციაური, კამოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი მ. პ. ბაბენაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ზ. ბარსუკოვი, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი ა. ი. ბუაძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ი. მ. ბუაჩიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, „თბილგვირაბმშენის“ უფროსი ვ. დ. გოცირიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ნ. გრიგალაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი მ. მ. დანელია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი მ. ვ. იაშვილი, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი კ. მ. ილურიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ს. კ. კურკოტკინი, სკკპ წევრი 1917 წლიდან დ. ვ. ლომაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე რ. ვ. მმტრიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ს. მ. მიქაძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ო. ი. მოსაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. ს. მჭედლიძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი რ. ს. ნაცვლიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. შვანია, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ს. ტ. რიბვეკა, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ლ. ი. სმირნოვი, თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ა. სოკურაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი ო. პ. სტეპჩენკო, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ბ. ი. ქადაგიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ი. ა. შეკარდნაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ბ. შელეპინი, „მთავართბილისმშენის“ უფროსი ბ. ს. შენგელია, „თბილგვირაბმშენის“ პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. ე. ჩიგოგიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი კ. ვ. ცქიტიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ა. ჭოლოშვილი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ი. რ. ხვედელიანი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ნ. ხოდელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ა. ჯაფახიშვილი, თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ს. ჯანჯღავა, საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. მ. ჯაფარიძე.

ერთხმად დაამტკიცეს შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში;

2. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში;

3. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა;

ბ) საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის სარევიზიო კომისიისა;

გ) საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატებისა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ზ. ე. ჩიგოგიძემ.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ს. მ. მიქაძე, „თბილგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ი. ობოლაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ს. ვ. დურმიშიძე, თბილისის № 38 საშუალო სკოლის დირექტორი დ. პ. სტეცენკო.

სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ბ. დ. ბაბუნიამ.

კონფერენციამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

კამათი გაგრძელდა. მასში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს უფროსი მ. ე. ჯაფარიძე, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ძ. ბ. აფციაური.

თავმჯდომარემ ბ. ა. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც თბილისის XXXIV პარტიულ კონფერენციას გამოუგზავნეს აფხაზეთის, რიგის, ერევნისა და ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ი. მ. ბუაჩიძე, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის უფროსი საქონელმცოდნე, პარტიული ბიუროს მდივანი ე. ზ. ჯალაბაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა. ბ. შელეპინი, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი ლ. მ. ვიბლიანი, რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ი. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი კ. ვ. ცქიტიშვილი, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ს. ჯანჯღავა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი პოეტი ი. ე. ნონეშვილი, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე, თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველოს უფროსი შ. ს. ჭედია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეკავანაძემ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIV კონფერენციამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნო.

დაამტკიცეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მოხსენება.

კონფერენციის მონაწილეებმა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიიღეს ვრცელი რეზოლუცია.

კონფერენციამ განიხილა დღის წესრიგის მესამე საკითხი — აირჩია თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, თბილისის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის წევრები და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატები.

შესვენების შემდეგ გამოცხადდა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების — თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატთა არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგები.

ამით საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIV კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. (საქდესი).

კონფერენციის დარბაზიდან

სურათებზე: ზემოთ — საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIV კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი: (მარცხნიდან) თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ო. ბალიაშვილი, თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანა „თბილხელსაწყოს“ კონტროლიორი ვ. ტორუშენკო, თბილისის ელექტროვაგონსარემონტო ქარხნის ხარატი ა. ზარდიაშვილი, თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი ვ. სამიტაშვილი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, თბილისის № 39 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ა. ლომიძე, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ამწყობი ზეინკალი შ. ფირცხალავა. ქვემოთ — კონფერენციის სხდომათა დარბაზში.

ფოტო გ. გოგოხიასი, გ. ვახტანგაძისა და მ. კვირიკაშვილისა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული თბილისის კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **ო. ი. ლოლაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია **ი. ა. შეკარდნაძე.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნად არჩეულია **გ. ა. ანდრონიკაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია: **გ. ა. ანდრონიკაშვილი, შ. ე. ბუხრაშვილი, გ. დ. გაბუნია, ბ. ნ. გრიგალაშვილი, ი. ი. იურპოლსკი, ო. ი. ლოლაშვილი, ი. ა. შეკარდნაძე, გ. ა. ჭოლოშვილი, ი. რ. ხვედელიანი.**

ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან: **ვ. ი. ალავიძე, ვ. ს. ჯანჯღავა.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად დაამტკიცა: ორგანიზაციულისა — **გ. დ. გაბუნია,** პროპაგანდისა და აგიტაციისა — **ც. ლ. ქოჩეჩაშვილი,** მეცნიერებისა და სასწავლებლებისა — **დ. ვ. როგავა,** მრეწველობისა და ტრანსპორტისა — **ო. მ. ივანაშვილი,** მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობისა — **ბ. ვ. ღვინიაშვილი,** ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოებისა — **ლ. მ. საყვარელიძე,** საერთო განყოფილებისა — **მ. ნ. ჩიქოვანი.**

გაზეთ „თბილისის“ რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა **ნ. უ. ჯაში.**

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორად დამტკიცებულია **პ. ვ. ასლანიდი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მეკავანაძე.**

* * *

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს **გ. ე. ჩიგოგიძე.** (საქდესი).

დეპარტაციობა ა. ნ. კოსიგინთან

15 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** კრემლში მიიღო მოსკოვში ხანმოკლე ვიზიტით ჩამოსული ამერიკის სენატორი **ე. მასკი,** რომელსაც თან ახლდა დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი სსრ კავშირში **ა. ჰარიმანი.** არაოფიციალური საუბრის დროს შეეხნენ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს. (საკდესი).

ღირსეულად შევხვდეთ ყრილობას!

დამკვრელური შრომის ვახტზე

რიტმი პირველი დღეებიდანვე

თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ვადამდე შეასრულა 1970 წლის გეგმა, ახალი ძალით გააგრძელა სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მოპოვებულია პირველი წარმატება. აქ იანვრის პირველი ნახევრის გეგმა ერთი დღით ადრე შესრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხნის კოლექტივმა გადახედა თავის შესაძლებლობებს და ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გადაწყვიტა პირველი კვარტალის გეგმა 25 მარტისათვის შესრულოს და გეგმის გადამეტებით გამოშვებას 10 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 1 პროცენტით დაზოგოს 5 ტონა შავი ლითონი, 4 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ათვისოს სამი ახალი მოდელის მანქანა.

იანვრის პირველი დღეებიდანვე გამართულად მუშაობენ და ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ კომუნისტი ხარატები გ. ბარამიძე, მ. ტიმოხინი, ზეინკლები რ. ჩიქოვანი, რ. სარჭისოვი, მემოდელე ა. თაქაძე.

შემკეთებლები დაჩინაურდნენ

დიდმის ძრავების შემკეთებელი მექანიკური ქარხანა (დირექტორი მ. თევდორაშვილი) ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა დედაქალაქში. შემკეთებლებმა რენტაბელურად იშრომეს ხუთწლედში, დავალება ვადაზე სამი თვით ადრე შესრულეს.

სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 28 მარტისათვის შესრულონ, 29-30 მარტს იმუშაონ დაზოგილი მასალებით.

ქარხნის კოლექტივმა უკვე პირველი წარმატება მოიპოვა. ვადამდე შესრულა იანვრის პირველი ნახევრის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 5 ათასი მანეთის პროდუქცია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობს კომუნისტ გ. ტოტოჩიას ბრიგადა.

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მოლაპარაკება

კაირო, 14 იანვარი. (საკდესი). დღეს კუბის სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ნ. ვ. პოდგორნისა** და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის **ანვარ სადათის** მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. მ. მატჩანოვი** და სხვები, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ — ვიცე-პრეზიდენტები **ჰუსეინ აშ-შაფეი** და **ალი საბრი** და სხვები.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ყოველმხრივ გაუზიარეს ერთმანეთს აზრი საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებზე. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ახლო აღმოსავლეთში ამჟამად შექმნილ მდგომარეობას.

ორივე მხარემ სრული კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კარგად ვითარდება სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრული თანამშრომლობა ყველა დარგში. მხარეებმა გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ გააფართოონ და ყოველმხრივ განავითარონ ეს ორივე ხალხისათვის ნაყოფიერი თანამშრომლობა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომავალში კვლავ გაუზიარებენ ერთმანეთს აზრს ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

ზეიმზე ასუანში

კაირო, 14 იანვარი. (საკდესის სპეც. კორრ.). დღეს კაიროდან ასუანის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის დამთავრებასთან დაკავშირებით ზეიმში მონაწილეობისათვის ასუანს გაფრინდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ანვარ სადათი და მათი თანმხლები პირნი.

ისინი დღესვე ჩავიდნენ ასუანში.

მიფრინავს „კოსმოს-391“

14 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-391“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საკდესი).

პ ა რ ტ ი უ ლ კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ე ბ ზ ე

პარტიული მუშაობის სარკე

რეპორტაჟი საქართველოს კპ აფხაზეთის ორგანიზაციის XXXI საოლქო კონფერენციიდან

3 იანვარს იმ დღეს აფხაზეთის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე იყო, ყველა შეამჩნევდა ერთ მეტად მეტყველ სურათს. დარბაზი ჰგავდა შრომასა და ბრძოლაში მოპოვებული ჯილდოების ცოცხალ გამოფენას, რომლის მიხედვითაც სრულად შეიძლებოდა აღდგენა იმ სახელოვანი გზისა, აფხაზეთის მშრომელებმა რომ გაბედეს ამ ხუთი ათეული წლის მანძილზე.

წინა, 30-ე საოლქო კონფერენციიდან დღემდე თითქმის სამმა წელიწადიმ გაიარა. ეს იყო მრეგი ხუთწლედის მესამე წელი. და აი დროის ამ არცთუ დიდ მონაკვეთში მართლაც ბევრი რამ გასახარელი შეუქმნიათ აფხაზეთის შესანიშნავ შვილებს, რომლებიც დღეს თავიანთ პარტიულ კონფერენციაზე შეეკრიბნენ. აქ ათიან გამოცდილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოჩენილი ოსტატები, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

მაინც რა იყო მთავარი, რა თქმა აფხაზეთის კომუნისტთა ამ კონფერენციაზე? გადაიქცა თუ არა იგი ამ სამი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის საარკედ?

იმ ანგარიშის მიხედვით, რომელიც კონფერენციაზე წარმოადგინა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ, დღევანდელი აფხაზეთის ასეთი სურათი შეიძლება წარმოვიდგინოთ...

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება უკანასკნელ წლებში დათმობილი ჰქონდა სკკპ XXIII ყრილობის, საქართველოს კპ XXIII ყრილობისა და აფხაზეთის XXX საოლქო პარტიული კონფერენციის გადწყვეტილებათა შესრულებას.

ეი თუნდაც ერთი ასეთი ფაქტი: აფხაზეთის მრეწველობის მუშაკებმა ხუთწლედის გეგმა ჯერ კიდევ გასული წლის 8 ოქტომბრისათვის, ე. ი. დთქმულ დროზე თითქმის ერთი თვით ადრე შესრულეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრეწველო პროდუქციის მოცულობა ამ ხნის მანძილზე 51,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 40 პროცენტით გადიდდა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით მიღებულია 7,5 მილიონი მანეთი მოგება.

მოხსენებაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ წინასწარი მონაცემებით ხუთწლედის გეგმის გადამეტებით ამოღებულია 100 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. დამზადებულია 65 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, გამოშვებულია 10 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, დამზადებ უ ლ ი ა 42.958 ცენტნერი ხორცი და ძეხვეული, 97.279 ცენტნერი თევზეული, 128 ათასი დეკალიტრი ღვინო. ასი ათასი დეკალიტრი ლუდი, 3.884 ტონა ბაიხო ნაი, 1.226 ტონა ფერმენტირებული თამბაქო, 127 მილიონი ცალი სიგარეტი.

დიდ მკითხველმა თვითონ წარმოიდგინოს, რამდენი შრომის დახარჯვა დასჭირდებოდათ აფხაზეთის შრომელებს მთელი ამ ზეგეგმითი დოვლათის შესაქმნელად.

კონფერენციაზე ქმაყოფილებით აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში დაგეგმისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადავიდა 82 საწარმო, რაც აფხაზეთის საწარმოთა მთელი რაოდენობის 67 პროცენტს შეადგენს. ეს 82 საწარმო კი საერთო პროდუქციის 90 პროცენტს უშვებს.

საოლქო პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი გადაჯარბებით შესრულებულია ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მარტო 1970 წელს ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 48.594 ტონა ნედლეული, რაც 7.500 ტონაზე მეტით აღემატება საგეგმო დავალებებს ასევე გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსების, ამრეშუმის პარკის დამზადების დავალებები. საგრძნობლად გაიზარდა ეთერზეთოვანი კულტურების, ბოსტნეულის, ხილის დამზადება. 1970 წელს ავტონომიური რესპუბლიკის მეთამბაქოეებმა ცუდად როდი იმუშავეს. მართალია, გეგმა მთლიანად ვერ შეასრულეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თამბაქოს ნედეულის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რამაც საშუალება შექმნა წარმატებით შესრულებულიყო ხორცის, რძისა და კვერცხის სახელმწიფო დავალებები.

უკანასკნელ სამ წელიწადში საგრძნობლად ამაღლდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე.

მაგრამ, როგორც კონფერენციაზე სწორად აღინიშნა, გეგმის შესრულებაზე რომ ლაპარაკობენ, არ უნდა დაივიწყონ იმ ადამიანებზე ზრუნვა, რომლებიც ამ გეგმებს ასრულებენ. საანგარიშო ეერიოდში ცოტა როდი გაკეთდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ბოლო ხუთ წელიწადში კომუნალური მეურნეობის განსავითარებლად აფხაზეთში დაბანდებულია 24.448 ათასი მანეთი. გაიზარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი.

ამასთანავე საოლქო პარტიულ კონფერენციაზე თქვა, რომ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ეკონომიკის ყველა დარგს უნაკლოდ როდი უძღვებიან.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილე დელეგატებმა — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. გილაშვილმა, საქართველოს კპ ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. შაკიამ, სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ამიჩბამ, ტყვარჩელის ლაკობას სახელობის შახტის მუშამ ა. ციბამ დაასახელეს ზოგიერთი საწარმო, რომლებიც წლების მანძილზე ვერ ასრულებენ დადგენილ გეგმებს. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საშენ მასალათა კომბინატმა ხუთწლედში სახალხო მეურნეობას დაალო 6 მილიონი ცალი აგური და 8 ათასი ტონა ქარი. კონფერენციაზე ილაპარაკეს აგრეთვე ლესელიძისა და ბზიფის სატყეო მრეწველობის მეურნეობების გაუმართავ მუშაობაზე. არსებითი ნაკლოვანებებია აფხაზეთის ტრანსპორტის მუშაობაში. აქ აგრეთვე ითქვა, რომ ცუდად მუშაობენ სოხუმის რკინიგზის სადგური და საალოკომბინატი დეპო. 1970 წელს მგზავრთა გადაყვანის გეგმა ვერ შეასრულა სოხუმის საზღვაო ნავსადგურმა.

დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს აფხაზეთის ასსრ კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველო, აღინიშნეს, რომ ნელი ტემპით მიმდინარეობს სოფლების რადიოფიკაციის სამუშაოები.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი რეზერვების საკითხს. ბევრ კოლმეურნეობასა და ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში დაბალია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპები, რაც უნდა აიხსნას შრომის სუსტი ორგანიზაციით, მიწის სავარგულების არარაციონალური გამოყენებით, ახალი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების სუსტად დანერგვით.

კონფერენციაზე გაკრიტიკეს გუდაუთისა და გულრიფშის რაიონების კოლმეურნეობები, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ მეთამბაქოობაზე. ცოტა როდია გადაუწყვეტელი საკითხები აგრეთვე მეცხოველეობაში. ამაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს კპ ოჩამჩირის, გაგრის, გუდაუთის, სოხუმის რაიონული კომიტეტების პირველმა მდივნებმა ალ. გვარამიამ, ლ. ღურწკაიამ, ვ. ტანიამ, ხ. ავიძბამ, გალის რაიონის ოქუმის სენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ბ. ჯგუბურიამ, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ა. ჯოუბამ, გულრიფშის რაიონის სოფელ აბანთის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. ჩაკვეტაძემ.

აფხაზეთი რომ კურორტების მხარე და ჯანმრთელობის ძვირფასი კერაა, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ კურორტებია მუშაობაში ყველაფერი როგორ როდია. ამ საკითხს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში აფხაზეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. მარტავა, გაგრის კურორტთა მართვი საბჭოს თავმჯდომარე ალ. ბარამია.

აფხაზეთში ამ უკანასკნელ ხანს, როგორც ყოველთვის, კვლავ წარმატებით ვითარდებოდა კულტურის ყველა დარგი და სახალხო განათლება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნაკლიც ბევრი გამოჩნდა, რაც დროულ გამოსწორებას მოითხოვს. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ სამართლიანად გამოითქვა საყვედური, რომ ისინი სისტემატურად არ ნერგავენ მუშაობის ახალ ფორმებს, ნაკლებად უწყობენ ხელს თვითმოქმედების განვითარებას.

კონფერენციაზე ქმაყოფილებით აღინიშნეს აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებანი. აქ ისიც ითქვა, რომ მეტი დახმარება სჭირდება აფხაზეთის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრისა და კაპელას. განსაკუთრებით უნდა გაიუმჯობესოს მუშაობა აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

კონფერენციაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ თავიანთ საქმიანობას დღითიდღე აფართოებენ აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი, რომელთაც გარკვეული წვლილი შეაქვთ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებით ილაპარაკეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვ. ძიძარიამ, საქართველოს აკკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ბარციცამ.

კონფერენციის მთელ მსვლელობას წითელ ზოლად გასდევდა იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობა, ფორმალიზმის, მოჩვენებითობის წინააღმდეგ ბრძოლის საჭირობა. აქ პირდაპირ ითქვა, რომ ზოგიერთი სახალხო უნივერსიტეტი ფორმალურად არსებობს, სათანადო დონეზე ვერ დგას მშრომელთა ათეისტური აღზრდა. მაგალითად, კონფერენციაზე მოიყვანეს ფაქტი, რომ ერთ-ერთი კოონის სოფელ აბანთის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. ჩაკვეტაძემ.

ცხარე სჯა-ბაასი გაიმართა აგრეთვე სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის თაობაზე, ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე გაამახვილეს ყურადღება აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. მაისურაძემ, აფხაზეთის ასსრ პროკურორმა მ. არგუნმა.

როგორც ცნობილია, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ორგანიზაციულ მუშაობაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კადრების შერჩევასა და აღზრდას. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით რამდენადმე გაუმჯობესდა პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის ბევრ უბანზე. მაგრამ, სამწუხაროდ კადრებთან მუშაობაში მთლიანად აღმოფხვრილი როდია ნაკლოვანებანი. ამის საილუსტრაციოდ კონფერენციაზე მოიყვანეს პარტიის გალის რაიონული კომიტეტის მაგალითი. აქვე ითქვა ისიც, რომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფა ათასგვარ დიდსა თუ მცირე დანაშაულებს წარმოშობს. ამის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იყო ის გარემოება, რომ კადრების შერჩევა ზოგჯერ ხდება არა პოლიტიკური და საერთო საქმისათვის საჭირო ნიშნით, არამედ ვიწრო პირადული დამოკიდებულების მიხედვით.

უპრინციპო, არასაქმიანი კრიტიკის ნიმუშად კონფერენციაზე დასახელეს აფხაზეთის საოლქო გაზეთის „აფსნი ყაფშის“ ამასწინანდელი გამოსვლა, როცა გაზეთმა ერთ-ერთი ცნობილი მწერლის წიგნი, როგორც იტყვიან, მწასთან გაასწორა უსაფუძვლოდ, ხოლო შემდეგ თავისი მცდარი პუბლიკის გამოსასწორებლად კვლავ მეორე გვერდი დაუთმო ამავე წიგნის დადებითად შეფასებას.

დელეგატებმა არაერთი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს, რომელთა გადაწყვეტასაც თვით ცხოვრება მოითხოვს.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ა. გოგიჩაიშვილმა.** მან დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებების საჭიროებაზე, კომუნისტთა ინიციატივის გაძლიერებაზე.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში დასახელია ღონისძიებანი, რომელთა განუხრელი შესრულება უთუოდ ხელს შეუწყობს აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას, აგრეთვე იმ ვალდებულებათა შესრულებას, აფხაზეთის მშრომელებმა რომ იკისრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის შესახებ.

გ. გოგიაშვილი,
ი. გოგეჩიკა.

„კომუნისტის“ სპეც. კორეს-პონდენტები.

დ ე პ უ ტ ა ტ ი და ც ხ ო ვ რ ე ბ ა

სასოფლო საბჭო და მეურნეობების ეკონომიკა

საბრძნობი ცვლილებები მოხდა სოფელ ნაფარეულში სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების შემდეგ. ჩვენს სოფელში მეგენახეობისა და ეთეროვანი ზეთების უდიდესი საბჭოთა მეურნეობებია.

ხელისუფლების სასოფლო ორგანოს მუდმივი ზრუნვა საბჭოთა მეურნეობის წარმოების განვითარებისათვის, უეჭველად, გაჯანსაღებს ახდენს მისი საქმიანობის შედეგებზე. შარშან მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მოიწია 5.300 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.200 ტონისა და მიიღო 1.167 ათასი მანეთი მოგება. სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით ნაფარეულის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. კარგ შედეგებს მიაღწია ეთეროვანი ზეთების საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმაც.

სოფლსაბჭოს ინიციატივით დეპუტატები პირადად ჩაუდგნენ სათავეში მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილებებს.

საბჭოს მუდმივი კომისიები ხელს უწყობენ გამოავლინონ შრომის ნაყოფიერების, მოსავლიანობის გადიდების ახალი რეზერვები. მაგალითად, ახალგაზრდობის მუდმივი კომისიის ინიციატივით ორივე საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადები, რომლებშიც გაერთიანებული არიან დეპუტატები და კომკავშირელები. მათ იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი და მიიპყრეს კომუნისტური შრომის ბრიგადის სამაგალითო წოდება.

ახალგაზრდა დეპუტატის ნათელა ირემაშვილის დევიზი „გარიჟრაჟიდან დაბინდებამდე“ გაიზიარა ყოველმა ახალგაზრდა მუშამ. ამან საშუალება მისცა მათ უდანაკარგოდ და გადაჭარბებით შეესრულებინათ ყურძნის კრეფის გეგმა.

სასოფლო საბჭოს დეპუტატის შევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინრის ტ. ხოლუაშვილისა და სახელოსნოს გამგის შ. ღურგლიშვილის რაციონალიზატორული წინადადების მეოხებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრაქტორის დატვირთვა. ამის შედეგად მინიმუმამდე შემცირდა მუშახელი და საწვავის ხარჯვა.

გაიზარდა დეპუტატების როლი სოფლის მთელ ცხოვრებაშიც. მათი ინიციატივით საზოგადოებრივ საწყისებზე აშენდა კულტურის სახლი, ავტოსადგური, საძირკველი ჩაეყარა სამუალო სკოლის შენობას 500 მოსწავლისათვის. დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს დეპუტატებმა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობაში. ამის შედეგად აშენდა 75 ადგილიანი საბავშვო ბაღი, სასკოლო ასაკის ბავშვთა დასასვენებელი სახლი, ხუთი საცხოვრებელი სახლი და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

ზ. ხოლუაშვილი,
თელავის რაიონის ნაფარეულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მთის სოფლის საზრუნავი

ჩვენი მთის სოფლების ეკონომიკას განსაზღვრავს მეცხოველეობა. აქაურ კოლმეურნეობას ყავს ასობით სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყველა დიდმნიშვნელოვან უბანში მოწყობილია დეპუტატთა საგუშაგოები. სახელმწიფო დავალებათა შესრულებისადმი საბჭოს მუდმივმა კონტროლმა ხელი შეუწყო ჩვენს მეცხოველეებს თითქმის ორჯერ მეტი გადაჭარბებით შეესრულებინათ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალება.

სასოფლო საბჭო ყოველდღიურ გაკვლევას ახდენს საკოლმეურნეო საქმეებზე თავისი დეპუტატების — კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. გურჩიანის, მოწინავე კოლმეურნეების ჰ. ფარჯიანის, კ. თამლიანის, ე. ბერლიანისა და სხვათა მეშვეობით. საბჭოთა აქტივი საკოლმეურნეო წარმოებისათვის ზრუნვის მაგალითის მიმცემია, იგი საქმის ცოდნით მონაწილეობს საბჭოში საკოლმეურნეო წარმოების დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში.

დიდ მუშაობას ეწევიან დეპუტატები სოფლის მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ჩვენს შორეულ მთის სოფელში, სადაც სოფლსაბჭოა, ამ ბოლო წლებში აშენდა საშუალო სკოლა 200 ბავშვისათვის, დაწყებითი სკოლა, 400-ადგილიანი კლუბი, სოფლსაბჭოს ახალი შენობა.

ჩვენ, აღმასკომების თავმჯდომარეები უნდა ვიყოთ არა მარტო დეპუტატთა მუშაობის ორგანიზატორები, არამედ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებათა პირველი შემსრულებლები, აგრეთვე აღმზრდელები და ზოგჯერ მბრძოლები მუუოდნელ ცხოვრებისეულ საკითხებში.

ბ. ჩარკვიანი.
მესტიის რაიონის ეწრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ლომთაგორაში დოლია

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მარნეულის რაიონის ლომთაგორის მეცხვარეობის საცდელი საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც პროფ. მ. რჩეულიშვილი ხელმძღვანელობს. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად აქ საკმაო რაოდენობით აწარმოებენ ცხვრის ხორცსა და მატყლს.

ლომთაგორელ მეცხვარეებს ახლა საპასუხისმგებლო პერიოდი დაუდგათ — აქ ცხვრის დოლი კარგახანია გაჩაღდა, ათასამდე ჯანსაღი ბატკანი უკვე მიიღეს. დოლობის პერიოდში კარგად მუშაობს ის ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მეცხვარე ომარ იუსუფოვი ხელმძღვანელობს. **ხურათებზე:** მარცხნივ — ბრიგადირი ო. იუსუბოვი, ქვემოთ — ბატკნების ერთი ნაკადი.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ცნობარი

„სკპ ჩოთა საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა მასალათა ცნობარი „საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები“.

ცნობარში მოყვანილია საქართველოს კომპარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, საბჭოების ყრილობებისა და სესიების, საქართველოს პროფკავშირთა ყრილობ ე ბ ი ს, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმების, საქართველოს კომკავშირის ყრილობებისა და სესიების; საქართველოს აკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მოწვევის თარიღები, 1920-დან 1970 წლამდე. მასში აღნიშნულია აგრეთვე განხილული საკითხები, ხელმძღვანელი ორგანოების რიცხობრივი შემადგენლობა და მათი სტრუქტურული ცვლილებანი.

ცნობარი შედგება ოთხი განყოფილებისაგან: 1. საქართველოს კომპარტიის ყრილობები, კონფერენციები და ცენტრალური კომიტეტის პლენუმები; 2. საქართველოს სსრ საბჭოების ყრილობები და სესიები; 3. საქართველოს პროფკავშირთა ყრილობები და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმები; 4. საქართველოს კომკავშირის ყრილობები და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმები.

ცნობარი მოამზადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მეცნიერმა თანამშრომლებმა — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ა. გუკასიანმა, შ. თეთვაძემ, მეცნიერმა მუშაკებმა ლ. გაბუნიამ, ნ. სტურუამ და ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგემ ნ. სტეფანიშვილმა.

ცნობარი დაეხმარება საბჭოთა საქართველოს ისტორიის მკვლევარებს, პროპაგანდისტებს, ლექტორებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, მკითხველთა ფართო წრეს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ისტორიის, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების საქმიანობის შესწავლაში.

ცნობარის საერთო რედაქცია ეკუთვნის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ ვ. მელიქიშვილს. (საქდესი).

ტ ე ქ ნ ი კ ურ ი პ რ ო გ რ ა ს ი ს

ნათელი პერსპექტივები

ტექნიკური პროგრესის გზით

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ეგებადება ომისათვის, რომ ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს. ქარხანამ ვადაზე სამი თვით ადრე შეასრულა ხუთწლედის დავალება.

ახლა, როცა დასახული მიზნები ღებულია, ჩვენ გავიანგარიშეთ და მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები ყოველმხრივ შევადარეთ წინა ხუთწლედის დონეს. ამ შედარებამ კარგი სურათი გვიჩვენა და ასევე კარგი, ნათელი პერსპექტივები გადაგვშალა.

წინა ხუთწლედთან შედარებით სასაქონლო პროდუქციის გამოშვება 46,6 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულება 13 პროცენტით შემცირდა, ხოლო მოგების დონე 2,7-ჯერ გადიდდა. საგულისხმოა, რომ მარტო შარშან ცხრა თვეში ქარხანამ 2 მილიონ 541 ათასი მანეთი მოგება მიიღო.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მძლავრი ბერკეტი გახდა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა, ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარება, და, ამ საფუძველზე, შრომის ნაყოფიერებისა და რენტაბელობის გადიდება.

ქარხნის კოლექტივმა მტკიცე ნაბიჯები გადადგა ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის გზაზე.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას დიდად უწყობს ხელს ის მტკიცე კავშირი და საქმიანი ურთიერთობა, რომელიც ჩვენმა ქარხანამ მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კალინინგრადის, კიშინიოვისა და ჩვენი კვეყნის სხვა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან და საპროექტო ორგანიზაციებთან დაამყარა. ეს კავშირი გვეხმარება კიდევ უფრო სრულყოფილ ელექტრომანქანების კონსტრუქცია, წარმატებით ავითვისოთ სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო ახალი ტიპის მანქანების გამოშვება, მკვეთრად გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი და საექსპლოატაციო თვისებები.

ქარხნის კოლექტივმა განვლილი ხუთწლედის მანძილზე არა მარტო აითვისა, არამედ კიდევაც დაიწყო მთელი რიგი ახალი ტიპის მანქანებისა და მოწყობილობის სერიული გამოშვება.

მთელ საბჭოთა კავშირში პირველად მხოლოდ ჩვენ დავიწყეთ „ეპ-501“ ტიპის 5 ტონის ტვირთამზიდის ელექტროამწეების გამოშვება, რომლებსაც არა მარტო სამრეწველო საწარმოებში, არამედ საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზეც იყენებენ. ათვისებულია აგრეთვე ნავთობის მოსაპოვებლად საჭირო ელექტროცენტრიდანული ტუმბოებისა და მოდერნიზებული ჩასაძირი ელექტროძრავების წარმოება. სწორედ ასეთ ძრავებს იყენებენ ახლა ნავთობის ამოსაქაჩი ტუმბოების მოძრაობაში მოსაყვანად.

ხუთწლედის პირმშოა ჩვენი ქარხნის სამეხტო ელექტროლამპარების საამქრო, რომელიც ახლა სერიულად უშვებს ფეთქებადუსაფრთხო დღის სინათლის ნათურებს. დაწყებული გვაქვს მუშაობა ცვეთაგამძლე მუშა-ბორბლებიანი ახალი ტიპის ელექტროცენტრიდანული ტუმბოსა და სხვა ახალი მანქანების გამოსაშვებად.

ჩვენი პროდუქცია სულ უფრო მეტ მომხმარებელს ეძებს, მისი საკმაოდ დიდი ნაწილი საზღვარგარეთ იგზავნება. მაგალითად, არტეზიულ წყალსატუმბავებსა და საშახტო ელმავლებს იგზავნიან კუბაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ირაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ავღანეთსა და ირანში. ამ ბოლო დროს საექსპორტო პროდუქციას შეემატა აგრეთვე ელექტროამწეები და საშახტო ელექტროლამპარები.

ბევრი რამ გაკეთდა და კვლავაც კეთდება შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის. უკანასკნელ წლებში მოეწყო ოთხი ნაკადური და ერთი კონვეიერული ხაზი ელექტროლამპარების მექანიკური დამუშავებისა და აწყობისათვის. დაიდგა ექვსი აგრეგატული ჩარხი დეტალების სერიული დამზადებისათვის, აგრეთვე მრავალმპიდელიანი ნახევრადავტომატური ჩარხები და სახარატოწნელოვანი ავტომატები ელექტროცენტრიდანული ტუმბოს მუშა ნაწილების დამუშავებისათვის. ახალი, მაღალი წარმადობის ჩარხების დანერგვამ აღნიშნულ ოპერაციებზე ერთისამად აამაღლა შრომის ნაყოფიერება, მკვეთრად გაუუმჯობესა ნამზადის ხარისხი.

ახლა ჩვენ წნეხ-ავტომატებს ვიყენებთ ჩასაძირი ელექტროძრავების სტატორისა და როტორის ფირფიტების ერთდროულად დატვიფრვისათვის. ამასთან, წნეხ-ავტომატებზე დავდგით სათანადო მოწყობილობა ფირფიტების დატვიფრვის პროცესში ორიენტირებისათვის, დავამზადეთ სპეციალური დანადგარი ფირფიტების გადაზარისხებისათვის. მარტო ამ უკანასკნელმა ღონისძიებამ ოპერაციაზე გამოათავისუფლა 10 მუშა და ქარხანას ათასობით მანეთი ეკონომია მისცა.

ელექტროძრავებისათვის დინამიკური ფოლადის ნამზადების დაჭრაზე მაკრატლების ნაცვლად ახლა მრავალგრეგრლაპიან მბრეელ დისკოებს ვიყენებთ, რამაც საშუალება მოგვცა აღნიშნულ ოპერაციაზე 8-ჯერ გაგვეზარდა შრომის ნაყოფიერება.

ადრე ქარხანაში „ვიწრო ადგილად“ ითვლებოდა მრგვალი ნამზადების დაჭრა. ახლა ეს ოპერაცია წნეხით, სპეციალური ტვიფრის გამოყენებით წარმოებს, რის შედეგადაც გამოთავისუფლდა ერთი ჩარხი და ორი მუშა.

თანმიმდევრულ ღონისძიებებს ვახორციელებთ იმისათვის, რომ მთლიანად დავაღწიოთ თავი ხელის მძიმე შრომას. წინათ მავთულების გასწორება და ზომაზე დაჭრა ხელით ხდებოდა. ახლა დანერგვის პროცესშია მავთულების გამასწორებელ-გადამჭრელი ავტომატი, რის შეობებითაც გასწორებაც და ზომაზე დაჭრაც ერთდროულად მოხდება.

ელექტროძრავებისა და კვანძის ჰიდროსტატიკური გამოცდა ყველაზეულად ხდებოდა. ახლა დანერგვის პროცესშია სპეციალური სადგამოცდო სტენდი, რითაც შესაძლებლობა გვექნება ერთდროულად გამოვცადოთ რამდენიმე დეტალი და კვანძი.

დიდი ეკონომიური ეფექტი მისცა ქარხანას უნივერსალური საიარაღო ტვიფრის პაკეტის ტვიფრზე გადაყვანამ. აქ საქმეროა აღინიშნოს, რომ პაკეტური ტვიფრის ღირებულება 2,2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე უნივერსალური ტვიფრისა, ამასთან მისი გამართვისათვის გაცილებით ნაკლები დროა საჭირო.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და ნამზადების ხარისხის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე ტუმბოს ტყვეის ჩრბალის გამოწვნევის მეთოდით მიღებამ, სხმულების მექანიზებული წესით გამობერტყვამ, წვრილი სერიული დეტალების სახარატო წნელოვან ავტომატებზე დამუშავებამ და სხვა ღონისძიებათა დანერგვამ.

პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის დიდ მუშაობას ეწევა ქარხნის ტექნიკური ინფორმაციის ბიურო, რომელიც არა მარტო ღებულობს საინფორმაციო ბიულეტენებს, კიდევაც განსახილველად უდგენს ქარხნის წამყვან სპეციალისტებს. განხილვის შემდეგ ვახდენთ მათს შერჩევას, ვადგენთ მისი გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო ამის შემდეგ ვნერგავთ ამა თუ იმ სიახლის დანერგვას.

ტექნიკური ინფორმაციის ბიუროს შემოქმედებითი აქტივობით ქარხანაში ბევრი სასარგებლო ღონისძიება დაინერგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსკოვის ქარხანა „ბორეციდან“ გადმოღებული და ჩვენი პირობებისათვის შემუშავებული მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები ელექტროცენტრიდანული ტუმბოს მუშა ნაწილების დამუშავებისათვის, რამაც მარტო ერთ-ერთ დეტალზე ორი



თერთმეტი წლის წინათ ის მხოლოდ საბჭოთა კავშირის საპროექტო ინსტიტუტების ვატმანის ქაღალდებზე იყო აღბეჭდილი. ახლა კი ასუანის მაღლივი კაშხალი უკვე სინამდვილეა. მისი მშენებლობის დამთავრების აღსანიშნავად ოფიციალური ზეიმი გაიმართა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ასუანის მაღლივი კაშხალის სამმართველოს უფროსის აბდელ სალამ ნაბიხის საუბარს ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტთან. იგი მოგვითხრობს ასუანის ჰიდროკომპლექსის მნიშვნელობაზე და საბჭოთა კავშირის როლზე ამ უნიკალური ნაგებობის შექმნაში.

ახალი ეგვიპტის სიმბოლო

ეგვიპტის დიდ მდინარე ნილოსთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ეგვიპტელი ხალხის ცხოვრება, ადიდებისას მას თან მიაქონდა სოფლები და გლეხთა შრომით ოფლმორწყული მოსავალი, დაიწვედა მისი დონე, და გვალვა დაატყდებოდა თავს ეგვიპტეს. მის ნაპირებზე ოდითგანვე სახლდებოდნენ ადამიანები და მდინარეს მოაქონდა მათთვის არა მარტო ნოყიერი შლამი და მაცოცხლებელი წყალი არამედ უთვალავი უბედურება.

ნილოსი უცნაური მდინარეა. იგი წყალუხვია, მაგრამ მისი დონე ძალიან მერყეევია, და ამიტომ გასაგებია, თუ რა სიხარეები ახლავს მისი წყლების რაციონალურ გამოყენებას.

ეგვიპტელები ძველთაგანვე ოცნებობდნენ თვითნება მდინარის დამორჩილებაზე, მისი დონის რეგულირებისათვის ჯერ კიდევ 1902 წელს აეშენებინ წყალსაცავი, რომელიც შემდგომ ორჯერ გადაკეთეს, მაგრამ ეს არ შველოდა საქმეს. ნილოსის წყლების მნიშვნელოვანი მასა კვლავ უსარგებლოდ იღვრებოდა ხმელთაშუა ზღვაში.

აი რატომ იყო, რომ 1952 წლის რევოლუციის შემდეგ ეგვიპტის მთავრობამ ენერგიულად დაიწყო ნილოსის პრობლემის გადაწყვეტის გზების გამონახვა. განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკა ამ საკითხის კომპლექსურ გადაჭრას მოითხოვდა. გადაწყდა აგებოთ ასუანის მაღლივი კაშხალი. ამასთან შეუძლებელი იყო უცხოური დახმარების მიუღებლად ასეთი მშენებლობის დაწყება. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი მხოლოდ იმიტომ დათანხმდნენ მშენებლობის დაფინანსებაზე, რომ ეგვიპტე პოლიტიკური დიქტატის ქვეშ ჰყოლოდათ.

მაგრამ ახალ ეგვიპტეს აღარ სურდა იმპერიალიზმის მონობაში ყოფილიყო. პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა დახმარებისათვის საბჭოთა კავშირს მიმართა. 1958 წელს საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტეს შორის ამ საკითხზე შეთანხმება იქნა მიღწეული.

მშენებლობა 1960 წლის 9 იანვარს დაიწყო. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირიდან უკვე ჩამოვიდნენ სპეციალისტები, მოზიდეს უახლესი ტექნიკა, დაიწყო არნახული მშენებლობა. მოსკოველის გვერდით მუშაობდა კაიროს მცხოვრები, უკრაინელი და ქართველი კი ეგვიპტელ ფელახს ასწავლიდნენ ტექნიკის საიდუმლოებას. უნდა აღინიშნოს, რომ მშენებელთა კოლექტივის შემჭიდროებაში დიდი როლი საბჭოთა სპეციალისტებმა შეასრულეს. 1964 წელს მათმა რიცხვმა თითქმის ორ ათასს მიაღწია. თუ იმასაც გავთვალისწინებთ, რომ მათი უმეტესობა ოჯახებით იყო, ადვილად მიხვდებით, თუ რამდენი ახალი მეგობარი შეეძინნეთ ჩვენ, ეგვიპტელებმა. საბჭოთა სპეციალისტები არაფერს არ გვამალავდნენ, ჩვენ ვხედავდით, რომ ისინი ფულისათვის კი არ მუშაობდნენ, მათ ჩვენი დახმარების სურვილი ამოძრავებდათ, მათ უნდოდათ დაეჩქარებინათ ეგვიპტის განვითარება.

მოკლე დროში მშენებლობაზე ჩამოიტანეს ყველა საჭირო მასალები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები. ამ მოწყობილობის საერთო წონა 750 ათას ტონას შეადგენდა. სხვათა შორის ჰიდროელექტროსადგურების აგების ერთმა საზღვარგარეთელმა ექსპერტმა აღნიშნა, ყველა ელექტრო და ჰიდროტექნიკური მოწყობილობის მიწოდებას დასავლეთის ქვეყნები ორჯერ მეტ დროს მოანდომებდენო.

საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით ასუანის კომპლექსის მშენებლობაზე შეიქმნა სპეციალური კურსები, რომლებზეც ეგვიპტელები ეუფლებოდნენ მშენებლის პროფესიებს. სულ მშენებლობის პერიოდში 75 სპეციალობის 18 ათასი კვალიფიციური სპეციალისტი იქნა მომზადებული. ამან საშუალება მოგვცა თანდათანობით შეგვეცვალა საბჭოთა მემონტაჟეები და მშენებლები ეგვიპტელებით. ახლა ასუანში 92 საბჭოთა სპეციალისტია.

უნდა აღინიშნოს საბჭოთა სპეციალისტების მიერ მშენებლობის ვადების ზუსტად დაცვა. აი რამდენიმე ციფრი. 1964 წლის 15 მაისს, ზუსტად განსაზღვრულ დროს, ნილოსი გადახიდეს და ახალ კალაპოტში გადაადგეს, 1967 წლის 15 ოქტომბერს № 1 ჰიდროაგრეგატმა ელექტრობა მოგვცა, უკანასკნელი აგრეგატის ამუშავება კი 1970 წლის 15 ივლისს — 5 თვით ადრე განხორციელდა. ეს მოვლენა დაუკავშირდა ეგვიპტის რევოლუციის მე-18 წლისთავს. ახლა ასუანის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრემ საუროვტოს — 2.100.000 კილოვატს მიაღწია.

ასუანის კაშხალის პროექტი ითვალისწინებს უზარმაზარი წყალსაცავის შექმნას. ეს იქნება ტბა ნასერი, მსოფლიოში უდიდესი ხელოვნური ტბა, რომლის სიგრძე 500 კილომეტრია, ამ მშენებლობამ ეგვიპტე იმ ქვეყნებს შორის ჩააყენა, რომლებსაც უნიკალური ჰიდრონაგებობები აქვთ. ზათს უმეტესობას, რაც საბჭოთა სპეციალისტების მიერ საგანგებოდ იყო შექმნილი ასუანისათვის, თამამად შეიძლება ვუწოდოთ მომავლის ტექნიკა. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა მსოფლიოს იმ ხუთი ქვეყნის რიცხვში შედის, ვისაც 500 ათასი ვოლტის ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები აქვს.

ასუანის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით კიდევ და კიდევ უნდა გამოვქვეათ მადლობა იმ უანგარო დახმარებისათვის, რაც საბჭოთა სპეციალისტებმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა გაგვიწია. ასუანის კაშხალს ჩვენ ეგვიპტეში მეოცე საუკუნის საოცრებას ვუწოდებთ, და ეს საოცრება იმიტომ კი არ ითქვა, რომ ვინმე გაგაკვირვოთ ან დიდების ძეგლები შევქმნათ. იგი ხალხის საკეთილდღეოდ აშენდა.

ასუანის მშენებლობამ საშუალება მოგვცა გაგვეგართოებინა დასამშენებელი მიწები 25-30 პროცენტით, ასუანის ჰიდროკვანძის თორმეტივე ჰიდროაგრეგატს საექსპლოატაციოდ გადაეცემამ ოთხჯერ გაზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება ეგვიპტეში 1960 წელთან შედარებით.

შექმნილია მყარი ენერგეტიკული ბაზა, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვავითაროთ ძველი, ავაშენოთ ახალი სამრეწველო ობიექტები, შევუდგეთ სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციას. დასამუშავებელი მიწების გაფართოება საშუალებას მოგვცემს მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი პრობლემა გადავწყვიტოთ.

კაშხალმა ეკონომიური ეფექტი მშენებლობის პერიოდშივე მოგვცა. მაგალითად, 1965-70 წლებში შემოსავალმა მარტო სოფლის მეურნეობაში 242 მილიონი ეგვიპტური გირვანქით იმატა. 1970 წლის დეკემბრისათვის ჰიდროაგრეგატებმა 6,5 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავეს. ელექტროენერგიას გამოიყენებენ ახალი ქიმიური საწარმოები, რომლებიც სოფლს მინერალურ სასუქებს მიაწვდიან.

ასუანის ახლოს დაიწყო ალუმინის კომბინატის მშენებლობა, რომელიც აგრეთვე საბჭოთა მოწყობილობით იქნება აღჭურვილი. ეგვიპტელები, ამ საწარმოს მომავალი სპეციალისტები, სტაჟირებას საბჭოთა კავშირში გაიელიან. კომბინატი ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრის დაახლოებით 20 პროცენტს მოიხმარს, სამაგიეროდ წელიწადში 100 ათას ტონა ალუმინს მოგვცემს. მაღე ასუანის ახლოს დაიწყება მსოფლიოში უდიდესი ფეროშენადნობთა კომბინატის მშენებლობა. დაპროექტებულია რამდენიმე ქიმიური საწარმოს მშენებლობაც.

მაღე კაშხალის ახლოს დამთავრდება 84-მეტრიანი მონუმენტის აგება. იგი სამუდამო ძეგლი იქნება საბჭოთა ხალხის და ეგვიპტელი ხალხის მეგობრობისა. თუმცა უკვე თვით კაშხალია ჩვენი მეგობრობის ხელუხმენელი ძეგლი. როგორც გამალ აბდელ ნასერმა თქვა, ასუანის კაშხალი „სამუდამოდ დარჩება არაბეთ-საბჭოთა კავშირის უანგარო მეგობრობის სიმბოლოდ“.

სურათებზე: დამთავრდა ასუანის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის, აფრიკის ამ უდიდესი ნაგებობის მშენებლობა. ნილოსის გადახიდვის შემდეგ დაიწყო კაშხალის დამუშავება (ზემოთ); 1968 წლის იანვარი — მშენებლები ზეიმობენ მე-4 ტურბინის ამუშავებას (მარცხნივ); დღეს ჰიდროელექტროსადგურის ერთ-ერთ დარბაზში (ასუანის ჰესი აშენებულია დიდი კლდის შიგნით და 11-სართულიანი შენობის სიმაღლე აქვს).

ფოტოები ა. ჯინჭველაშვილისა, საკდესისა და ახალი ამბების საagენტოსი.

ივანე ვეფხვაძე

ქართველ მხატვართა რიგებს გამოაკლდა საქართველოს სახალხო მხატვარი ივანე ალექსის-ძე ვეფხვაძე.

ივანე ვეფხვაძე თავისი შემოქმედებით იდგა და ყოველთვის დარჩება იმ მებრძოლ ქართველ მხატვართა შორის, რომლებიც უველაფერს აკეთებენ დიდი ქართული რეალისტური ფერწერის აყვავებისა და გაფურჩქვნისათვის. მან თავისი მოღვაწეობის აზრი და სული ამთავითვე მთლიანად ქართული ფერწერის რეალისტურ პოზიციებს დაუკავშირა.

ივანე ალექსის-ძე ვეფხვაძე დაიბადა თბილისში 1888 წლის 25 იანვარს. მიუხედავად ოჯახის ძნიმე ეკონომიური პირობებისა, საქალაქო სასწავლებელი მაინც დაამთავრა და ხელი მიჰყო მხატვრობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივანე ასრულებდა კინოპლაკატებს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი პლაკატი შესრულებული ვანო ვეფხვაძის მიერ, გახდა იმის საბაბი, რომ მისი პირადად ნახვა მოინდომა ცნობილმა ქართველმა ფერმწერმა, სახალხო მხატვარმა, პროფესორმა გიგო გაბაშვილმა. ამ შეხვედრის შემდეგ გაბაშვილმა ვანო, როგორც განსაკუთრებული ფერწერული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა, სასწავლად მიიწვია ახლად გახსნილ საქართველოს სამხატვრო აკადემიაში, თავის კლასში. აკადემიაში ვანო 1924-27 წლებში სწავლობდა. ქართველი საზოგადოებრიობა ივანეს პირველად „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ მიერ მოწყობილ იმ გამოფენაზე გაიცნო, სადაც ვეფხვაძე წარმოდგენილი იყო კოლორიტული და სახასიათო უანრული სურათით — „მზითევის გადატანა ძველ თბილისში“. ამ ნაწარმოებში გამოჩნდა მხატვრის ფერწერის რეალისტური მანერა. პირველი გამოფენის დღიდან, ვიდრე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იგი დიდი რეალისტური მხატვრობის ერთგული დარჩა.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ვანო ვეფხვაძის მემკვიდრეობა: უანრული სურათები, ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის კომპოზიციები, პორტრეტული უანრის ნაწარმოებები, ნატურმორტი და პეიზაჟი.

არ მოწყობილა ქართველ მხატვართა ისეთი გამოფენა, სადაც ვეფხვაძე ერთ-ერთი ან ორ-სამ ნაქმნილი სურათით არ ყოფილიყო წარმოდგენილი. მან ითამაშა ეროვნული ფერწერის ჩამოყალიბებასა და ქართულ მხატვრობაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი.

ივანე ვეფხვაძის, როგორც მხატვრის ღვაწლი ქვეყნის წინაშე პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს. ჯერ კიდევ 1941 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე, მას მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო შემდეგ საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭა.

ივანე ვეფხვაძეს როგორც შემოქმედს განსაკუთრებული დამსახურება მოუძღვის ქართული საპორტრეტო და ისტორიულ-რევოლუციური უანრის განვითარებასა და განმტკიცებაში. ვეფხვაძის სურათების დიდი უმრავლესობა მიძღვნილია საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიული ბრძოლებისა და მოღვაწეობის თემისადმი. ცხოვრების მხატვრული სიმართლით ასახავ და ფსიქოლოგიური სიღრმე ახასიათებს მის ფერწერას.

ივანე ვეფხვაძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართველი საბჭოთა რეალისტური მხატვრობის პოზიციების დაცვასა და განვითარებას მოახმარა, იგი დარჩება, როგორც ქართული რეალისტური მხატვრობისათვის თავდადებული ფერმწერი და მოქალაქე.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი.

შეიქმნა ი. ვეფხვაძის დაკრძალვის მოსწყობი კომისია

„შეიქმნა ი. ა. ვეფხვაძის დამკრძალავი კომისია უ. ჯაფარიძის (თავმჯდომარე), ა. დვალიშვილის, ო. გუდიაშვილის, ა. ქუთათელაძის, ე. ახვლედიანის, დ. თავაძის, კ. პანკევეტაძის, ა. ჯავახიშვილის შემადგენლობით. ი. ა. ვეფხვაძის დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

საქართველოს ხალხურ მხატვრის ივანე ალექსის-ძე ვეფხვაძის დაკრძალვის კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 16 იანვარს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი, 32). გამოსვენება 17 იანვარს დღის 3 საათზე.

დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უხუცესი ქართველი ხელოვანი, საქართველოს სახალხო მხატვარი

ივანე ალექსის-ძე ვეფხვაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხალხისათვის!

ლა-პაზი. 15 იანვარი. (საკდესი). ბოლივიის მთავრობამ დანიშნა სარედაქციო კომისია ქვეყნის ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად, როგორც პრეზიდენტმა ხუან ხოსე ტორესმა განაცხადა საახალწლო წერილში ერისადმი, კონსტიტუცია ასახავს ქვეყნის ახლანდელ ეკონომიურ და სოციალურ სინამდვილეს და უზრუნველყოფს არა ფორმალურ, არამედ ნამდვილ დემოკრატიას.

მან საშუალება უნდა მისცეს ხალხის მასებს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში.

15 იანვარი — ფაქტები

● ულან-ბატორში გაიმართა მონღოლეთის მშრომელთა კრება, რომელიც მიეძღვნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 25 წლისთავს. კრებაზე მოხსენება გააკეთა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ც. პუნცაგნოროვმა.

● გამოქვეყნდა პირველი სრულიად ეროვნული „საპატიმროების აღწერის“ შედეგები. იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, აშშ არის 4.037 საპყრობილე, გარდა წინასწარი პატიმრობის საკნებისა, გამოსაფხიზლებლებისა და სხვა ასეთი დაწესებულებებისა, სადაც პატიმრებს ორ დღეზე მეტ ხანს არ აჩერებენ. 1970 წლის 15 მარტისათვის ამერიკის საპყრობილეებში იყო 160.863 კაცი.

● სამხედრო პროკურორმა ფერნადო ლიონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჩილეს სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილ სარდალს ადმირალ უგო ტირადო ბარუსს წაუყენეს ბრალდება, რომ მონაწილეობდა მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში რის შედეგადაც მოკლეს ჩილეს არმიის სარდალი გენერალი შნეიდერი.

● 20 მილიარდ პესეტზე მეტად არის შეფასებული ზარალი, რომელიც ესპანეთის სოფლის მეურნეობას მოუვიდა ყინვებისა და თოვლისაგან, რომელთა მსგავსი ამ საუუნეში ესპანეთში არ ყოფილა. წინასწარი მონაცემებით, რომლებიც ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა, მეცხოველეობას მოუვიდა 10 მილიარდ პესეტზე მეტი ზარალი.

● დომინგოს რესპუბლიკის დედაქალაქ სანტო-დომინგოს პოლიციამ ცეცხლი დაუშინა უცნობთა ჯგუფს, რომლებზეც ეჭვი ჰქონდათ, რომ ისინი არალეგალური ორგანიზაციის წევრები არიან. ცეცხლის დაშენის შედეგად 4 კაცი დაიღუპა და ერთი მძიმედ დაიჭრა. უკვე რამდენიმე დღეა 2 ათასზე მეტი პოლიციელი დომინგოს დედაქალაქში ეწევა მასობრივ ჩხრეკა-დაპატიმრებას.

● ბერგენის უნივერსიტეტის სეისმოგრაფიულმა სადგურმა 14 იანვარს აღნიშნა მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი მდებარეობდა 180 კილომეტრზე ნორვეგიის სანაპიროს დასავლეთით. მიწისქვეშა ბიძგების ძალა ზუსტად ვერ განსაზღვრეს. მაგრამ ბიძგები იგრძნობოდა ნორვეგიის მთელ სანაპიროზე ნაპირიდან კრისტიანსუნამდე. (საკდესი).

საბჭოთა დელეგაციის მეთაური პეკინში ჩავიდა

პეკინი. 14 იანვარი. (საკდესი). დღეს პეკინში ჩამოვიდა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოლაპარაკებაზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. ო. ილიჩოვი. იგი მოსკოვში იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

პეკინის აეროდრომზე ლ. ო. ილიჩოვს დახვდნენ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკებაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების გამგე იუი ჯანი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურს დახვდა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ს. ტოლსტიკოვი.

სიონისტთა ფაშისტური საქციელი

კიტლერის შავხალათიანთა დროსა და ზნეს მოგვაგონებს ამერიკის შეერთებული შტატების ებრაელთა დაცვის ყბადაღებული ლიგის ტერორისტთა ხულიგნური გამოსვლები.

ქვეყანაში, რომლის მმართველი წრეები გაკვიანან ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებანი ხელშეუხებელია, უკანონოდ სჩადიან ტერორისტულ აქტებს, ხდება უხეში თვითნებობა საბჭოთა ადამიანებისადმი, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან. სიონისტური ექსტრემისტები და მათი მფარველები, საზიზღარი პროვოკაციებით მხოლოდ თავიანთ უძლურებას ცხადყოფენ. ვეღარ შეეგუნებიდნო ბანდიტთა თვითნებობას, რომელიც ხელს აღმართვენ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლების წინააღმდეგ, ვერ შეეგუნებდნ მათ სრულ დაუსჯელობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც პოლიციის უდიდესი აპარატი აქვს. ეს აპარატი ხომ ამოქმედდება ხოლმე მაშინ, მაგალითად, როცა საჭიროა პროფოკაციული საქმის შეთითხნა მოქალაქეობრივი უფლებებისა და პროგრესისათვის მებრძოლის ანგარეა ღვინისის წინააღმდეგ, რომელსაც მხოლოდ იმისათვის ასამართლებენ, რომ არის კომუნისტი და ფერადკანიანი.

საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ მრავალ ებრაელთა სახელით მეც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოვითხოვ აილაგმონ მეირ კახანეს ბანდის ფაშისტი არამზადები.

ს. ნაციაშვილი,
მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

(საქდესი).

გულითადი მადლობა

კაირო. 15 იანვარი. (საკდესი). კაიროს პრესა ფართოდ აშუქებს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტს, თვალსაჩინო ადგილებზე ბეჭდავს მასალებს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მოლაპარაკების შესახებ, რომელიც გუშინ გაიმართა.

გაზეთები ერთსულოვნად ხაზს უსვამენ, რომ მოლაპარაკება სრული ურთიერთგაგებისა და მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობს. აღნიშნავენ, რომ „საბჭოთა კავშირი მუდამ უჭერდა და ახლაც უჭერს მხარს არაბთა სამართლიან საქმეს“.

„ალ-აპრამი“ აღნიშნავს, რომ „პრეზიდენტმა სადათმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხისა და ეგვიპტის მთავრობის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს უდიდესი დახმარებისა და ყოველმხრივი მხარდაჭერისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი მუდამ უწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას“.

ადგილობრივი პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრულ ურთიერთობას.

სანტიაგო

პოლიტპატიმრები ჩილეში ჩავიდნენ

14 იანვარს ჩილეში ჩამოვიდა 70 პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც ბრაზილიის მთავრობამ გაათავისუფლა ბრაზილიაში შვეიცარიის გატაცებული ელჩის ბუსერის სანაცვლოდ.

როგორც ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალსიდეს ლეალმა განაცხადა, ჩილემ პოლიტიკური პატიმრები მიიღო ბრაზილიის ხელისუფალთა თხოვნით. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ დოკუმენტების შემოწმებისა და გაფორმების საჭირო ფორმალობათა შესრულების შემდეგ პოლიტპატიმრებს მიეცემათ მოქმედების თავისუფლება.

(საკდესი).

ნიუ-იორკი — ქაღალი პროვოკაცია

ნიუ-იორკში ორი საბჭოთა დაწესებულების წინააღმდეგ მოახდინეს კიდევ ერთი პროვოკაცია. დილით, 14 იანვარს, გამავალ ხელდებულმა სიონისტებმა ქვა დაუშინეს „ეროფლოტისა“ და „ინტურისტის“ წარმომადგენლობათა ვიტრინებს და ჩააბსენეს ისინი.

ეს ახალი პროვოკაცია, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ჩაიდინა იმავე განგსტერულმა ნაციონალისტურმა ორგანიზაციამ „ებრაელთა დაცვის ლიგამ“, რომლის ბანდიტური მოქმედება მსოფლიო საზოგადოებრიობის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

დამახასიათებელია, რომ ეს ყბადაღებული „ლიგა“ საჭიროდაც კი არ ცნობს დამალოს თავისი დანაშაულობანი. ძალიან მალე მას შემდეგ რაც ვიტრინები ჩააბსენეს, გაზეთ „ნიუ-იორკ დეილი ნიუსის“ რედაქციაში გაისმა ტელეფონის ზარი, რომელმაც სავსებით დაადასტურა, ვისი საქმეც იყო ეს.

ტერორისტთა თარეში — რომი

თითქმის ერთდროულად იგრიალა ორმა ავფთქებამ იტალიის ქალაქ მესინაში. უცნობმა ტერორისტებმა ბომბები აფეთქეს პოლიციის საქალაქო სამმართველოს კედელთან და ცენტრალური ფოსტის შენობაში. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო პროვოკაციას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

უკანასკნელი დღეების მანძილზე ქალაქის შენობათა კედლებზე სულ უფრო ხშირად ჩნდება წარწერები, რომლებიც ქმებას ასხამენ საბერძნეთში შავი პოლკოვნიკების რეჟიმსა და საერთოდ ფაშიზმს, როგორც „წესრიგის აღდგენის ერთადერთ გზას“.

„ამ პროვოკაციათა მიზანი ნათელია, — წერს გაზეთი „უნიტა“, — გაამწვავოს პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში, გამოიწვიოს რეპრესიები მემარცხენე და დემოკრატიული პარტიების წინააღმდეგ, დაშინოს მშრომელები და უარი თქმევინოს ეკონომიური და პროფკავშირული უფლებებისათვის ბრძოლაზე“. (საკდესი).

ნიუ-იორკი — შეთანხმება სრულდება

იორდანიის მთავრობა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი შეუდგნენ 13 იანვარს მიღწეული შეთანხმების შესრულებას იმის შესახებ, რომ საუნებით განახორციელონ იორდანიაში მდგომარეობის ნორმალიზაციის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულ იქნა გასული წლის სექტემბერში არაბულ სახელმწიფოთა მეთაურების კაიროს თათბირზე.

როგორც მენის საagენტოს კორესპონდენტი იუწყება ამანიდან, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა იბრაჰიმ ბაკრმა განაცხადა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობის დათანხმდა შეასრულოს მიღწეული შეთანხმება და უკვე უბრძანა წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმებს შეიარაღოვონ იარაღი და დაალაგონ შეთანხმებით სპეციალურად დათქმულ ადგილებში.

ამავე დროს მენის საagენტოს კორესპონდენტი ამანიდან იუწყება, რომ იორდანიის ჯარებისადმი მმართველობა იორდანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა მაჯალმ მოუწოდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ძმური ურთიერთობა იქონიონ პალესტინის განთავისუფლების რაზმებთან.

ლონდონი — ვითარება კვლავ მწვავდება

ახალი შეტაკებანი მოხდა ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტის მცხოვრებლებსა და ინგლისის ჯარებს შორის.

სამი საათის მანძილზე ქალაქში ისმოდა სროლა და ბომბების აფეთქება. ქალაქში მიმავალი ყველა მთავარი გზა გადაკეტეს არმიის პატრულებმა. 12 კაცი დაპატიმრეს. შეტაკებანი დაიწყო, როცა არმიამ და პოლიციამ ჩხრეკა დაიწყეს ბელფასტის კათოლიკეთა უბნის მცხოვრებთა სახლებში.

როგორც ინგლისის ჯარების სარდლობამ გამოაცხადა, ქალაქში მდგომარეობა კვლავ ძალზე დაძაბულია. (საკდესი).

ეს საინტერესოა

„რა-2“ — სამუზეუმო ექსპონატი

პაპირუსის ნავი „რა“, რომელიც ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა ნორვეგიელი მკვლევარის ტურ ჰეიერდალის ხელმძღვანელობით მოაწყო თავისი ცნობილი მოგზაურობა, ამჟამად დადგმულია ფორნებიუს ეროდრომზე ოსლოს მახლობლად. ზღვის წყლით გაჟღენთილი პაპირუსი ძალიან ნელა შრება.

აღმოჩნდა, რომ ბუნებრივი გაშრობა დახურულ შენობაში საკმარისი არ არის. ახლა ნავის ქვეშ დადგეს სპეციალური გასაშრობი აპარატი. რომელიც შექმნილია ნორვეგიის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში და ჩვეულებრივად იყენებენ ხე-ტყის გასაშრობად.

იმედოვნებენ, რომ აპარატის მოქმედება შეაჩერებს წყლით გაჟღენთილი პაპირუსის ლპობის პროცესს და შესაძლებელს გახდის, რომ „რა“ დაიცვან როგორც სამუზეუმო ექსპონატი, იუწყება გაზეთი „აფტენპოსტენი“.

ინგლისი — ბიბლიოთეკა

[illegible] ინგლისელ [illegible] ქართულ მხატვრობაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი.

თეთრმანქეტგიანი თაღლითობა — ბონი

დასავლეთ გერმანიაში უმაგალითო მასშტაბი მიიღო დამნაშავეობამ ეკონომიურ და ფინანსურ სფეროებში. ყოველწლიურად თაღლითობს თავიანთ სამბანკო ანგარიშებზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საზღვარგარეთ შეაქვთ 10 მილიარდი მარკა. ეს მონაცემები გამოაქვეყნა მიუნხენის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ. ასეთ „პალანსს“ ვერ დაიკვეხნიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი მთელი ქურდები და მძარცველები, — ასე განმარტავს გაზეთი „ნოიე რაინ-�eუნგი“ პალატის მონაცემებს.

თუ ამ მონაცემებით ვიმსჯელებთ, დასავლეთ გერმანიაში არასდროს არ ყოფილა მიმოქცევაში ამდენი ყალბი ჩეკი და თამასუქი. ასეთი აქტივობა ჯერ არ გამოუჩენია სხვადასხვა ფირმას, რომლებიც ყალბი სახელწოდებით მოქმედებენ, ხოლო საქმით ბნელ საფინანსო მაქინაციებს ეწევიან.

„თეთრმანქეტიანი თაღლითების“ აქტივობამ ეკონომიური წრეების შეშფოთება გამოიწვია. მიუსტერში ახლა მიმდინარეობს კრიმინალისტების, იუსტიციისა და პოლიციის ორგანოთა მუშაკების თათბირი, რომელიც ეძღვნება ეკონომიკასა და ფინანსების სფეროში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების ძიებას. (საკდესი).

მსოფლიო დღეს

საქართველოს ამა-ბაგში

ახალმოსახლეობა

ბიათურა. (საკ. კორ.). მრავალი ხუთ და რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა მარგანეცის ქალაქში. ექვსმა რვასართულიანმა სახლმა დაამშვენა ნიკოპოლის ქუჩა. აქვე შენდება თოთხმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

სრულიად გამოიცვალა ლენინის ქუჩა, სადაც ხუთ-რვასართულიანი საცხოვრებელი სახლები აღიმართა.

* * *

სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთ რვასართულიან სახლს (მარცხნივ უკან), რომელშიც ახლახან ასმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა.

საპატიო პრემია

რედაქციაში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიიდან სახეხარულო ცნობა მოვიდა. ახლახან საფრანგეთის ქალაქ ვერსალში დამთავრდა თბოგადაცემის დარგში მომუშავე მეცნიერთა IV საერთაშორისო კონფერენცია (თბოგადაცემა ეწოდება მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის სითბოს გავრცელების კანონებს). ამ კონფერენციაზე გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **სახონ სიმონის-ძე ქუთათელაძეს** საზეიმო ვითარებაში გადაეცა თბოგადაცემის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის მაქს იაკობის სახელობის პრემია.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ბელა დურგლიშვილი ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს **რაფიელ დვალს** და სთხოვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის მოეთხრო ამ ამბის შესახებ.

გთავაზობთ მის საუბარს:

— მაქს იაკობის სახელობის პრემია 1961 წელს დაწესებულ ამერიკის ინჟინერ-მექანიკოსთა საზოგადოებამ და ამერიკის ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტმა. 1961 წლიდან 1968 წლამდე ეს პრემია

ქართველი მეცნიერის წარმატება

მიენიჭა ხუთ ამერიკელ, ერთ დასავლეთგერმანელ, ერთ ინგლისელ და ერთ იაპონელ მეცნიერს. მემორიალური პრემის ხსენებულ რვა ლაურეატს შორის არიან მსოფლიოში ცნობილი ესეთი მეცნიერები, როგორიც არის ეკერტი, მაკ-ალმსი (აშშ), ნუკიამა (იაპონია) და სხვ.

ს. ქუთათელაძისათვის 1969 წლის პრემიის მინიჭება მკაფიოდ ადასტურებს საბჭოთა მეცნიერების დიდ ავტორიტეტს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

სამსონ ქუთათელაძე დაიბადა 1914 წელს. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლენინგრადის სამეცნიერო-საკვლევ თბოტექნიკურ ინსტიტუტში და ამავე დროს სწავლობდა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თბოენერგეტიკულ ფაკულტეტზე. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ ს. ქუთათელაძე მუშაობდა ი. პოლზუნოვის სახელობის ორთქლის ქვაბებისა და ტურბინების ინსტიტუტში. ს. ქუთათელაძე დიდი სამამულო ომის მონაწილეა.

ომმა რამდენიმე წლით ჩამოაშორა მეცნიერებას. 1950 წელს ს. ქუთათელაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1953 წელს მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1954 წელს — პროფესორის წოდება.

ს. ქუთათელაძის გამოკვლევათა ფუნდამენტური შედეგები თავმოყრილია მის მონოგრაფიებში — „თბოგადაცემის თეორიის საფუძვლები", „აირ-სითხოვანი სისტემების ჰიდრავლიკა", „თბოგადაცემა დუღილსა და კონდენსაციის დროს", „აქუმშვადი აირის ტურბულენტური სასაზღვრო შრე" და სხვ. ს. ქუთათელაძის ნაშრომები მრავალ ენაზეა თარგმნილი და გამოცემულია საზღვარგარეთ (ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვ.).

უკვე ცნობილი მეცნიერი ს. ქუთათელაძე 1968 წელს არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თბური ფიზიკის ინსტიტუტს.

წინ კიდევ ძიებით, შრომითა და განცდებით აღსავსე დიდი გზაა, გამარჯვებებისა და წარმატებების უტყუარი საწინდარი.

ქალაქის სტუმრები

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ ერთი თვის მანძილზე ბევრი თეატრი და თვითმოქმედი ანსამბლი ეწვია ქალაქს. მაყურებლის წინაშე კარგი პროგრამით წარსდგა საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლი „დიეღო". მეშახტეებმა გულთბილად მიიღეს საკონცერტო ბრიგადა, რომელსაც ლილი გეგელია და გიორგი კიკნაძე ხელმძღვანელობდნენ. ტყიბულელებს თავისი ოსტატობა უჩვენეს კიევის ლილიპუტების საკავშირო ცირკის კოლექტივმა, ამბროლაურის საესტრადო-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „რაშოდამ" და სხვ.

ამინდი მაზეემ გავოანათა

— ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანიდან წამოსულმა ჰაერის ცივმა მასებმა, გადმოიარეს რა საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონები, გავრცელება იწყეს სამხრეთით, ამერიკავკასიისაკენ. აქ, კავკასიონთან, ისინი შეეჯახნენ ჰაერის თბილ მასებს, რამაც მთელ ამერიკავკასიაში გამოიწვია აცივება, თოვლი და ყინვები, — ასე გვიხსნის ამინდის მკვეთრ შეცვლას ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი, თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი ნ. ძამაშვილი. — თუ 14 იანვრამდე დასავლეთ საქართველოში ღამით 4-6 გრადუსი სითბო იყო, ამ დღეს აღინიშნა 1-3 გრადუსი ყინვა.

აცივდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. ბაკურიანში აღინიშნა 18 გრადუსი ყინვა, ახალქალაქში — 14, გურჯაანში, თელავში — 8 გრადუსი. ამავე დროს მთელ საქართველოში თოვლი მოვიდა. თეთრმა საბურველმა ბაკურიანში მიაღწია 23 სანტიმეტრს.

ჰაერის ცივი მასების შემოჭრა მოხდა სწრაფად და დამთავრდა კიდეც.

მომდევნო ორ დღეს კვლავ უნალექო ამინდია მოსალოდნელი, დღის ტემპერატურა თანდათან აიწევს.



ეოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა მორიგი პრემიერა — სპექტაკლი „სალამურა".

არჩილ სულაკაურის ორატორიანი პიესა-ზღაპრის დადგმა განახორციელა რეჟისორმა რობერტ სტურუამ. მუსიკა სპექტაკლისთვის დაწერა კომპოზიტორმა ნოდარ გაბუნიამ, გაფორმა მხატვარმა კოკა იგნატოვმა.

მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ჯ. ღაღანიძე, ბ. წიფური, მსახიობები: დ. სუმბათაშვილი, დ. კვირკვლია, ზ. ბოცვაძე, გ. გაბუნია, რ. ჩხაიძე და სხვ.

(საქდესი).

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „სალამურა".

ფოტო მ. ფიჩხაძისა.

სკოლის ფიზკულტურის წესდება

ფიზკულტურასა და სპორტს ეთმობა მაღალი ნებისყოფისა და ზნეობრივი თვისებების — პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, კოლექტივიზმის, გაბედულების, სიმტკიცის, შეუპოვრობისა და მიზანდასახულობის აღზრდის როლი, ნათქვამია „დებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შესახებ" — ამ სკოლის ფიზკულტურის თავისებურ წესდებაში, რომელიც მიიღეს სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა და, რომელიც შეთანხმებულია საკავშირო პროფსაბჭოსთან, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან. ეს წესდება საკვლევლოა როგორც მასწავლებლებისათვის, ისე მოსწავლეებისთვისაც.

რა ამოცანებს უსახავს ეს წესდება სკოლას?

უწინარეს ყოვლისა, ეს არის ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცება, შემდეგ მათი ფიზიკური ნიჭის, ორგანიზმის ფუნქციონალური შესაძლებლობებისა და მოძრაობის ჩვევების განვითარება.

განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სკოლასა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში სასწავლო პროცესის ხარისხისათვის, მათ უნდა უზრუნველყონ ისინი მასწავლებლებისა და მასწავლებელ-მწვრთნელთა კადრებით, ბგრეთვე პროგრამებით, ინვენტარითა და მოწყობილობით, მოაწყონ შეჯიბრებანი.

ფიზიკური აღზრდა მარტო ფიზკულტურის გაკვეთილი როდია. ეს არის მთელი სისტემა, რომელშიც გაკვეთილი და ფაკულტატიური მეცადინეობა თუმცა კი შეადგენს ძირითად ნაწილს, მაგრამ აუცილებლად უნდა მტკიცდებოდეს ორგანიზაციის სხვა ფორმებით. ეს არის კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტულ-მასობრივი მუშაობა (სპორტული წრეები და სექციები, ბავშვთა და ახალგაზრდათა სპორტული სკოლები) და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი სკოლების დღის რეჟიმში (ტანვარჯიში მეცადინეობამდე, თამაშობანი, ფიზიკური ვარჯიში შესვენებებზე, ფიზკულტწუთები გაკვეთილებზე).

დებულების დამოუკიდებელი კარი არეგლამენტებს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წევრთა მოვალეობებს. უწინარეს ყოვლისა: „სკოლაში ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციისთვის პასუხს აგებს დირექტორი". სხვანაირად რომ ვთქვათ, დირექტორი პასუხისმგებელია გაკვეთილებისა და სექციების მეცადინეობის პირობების შექმნისა და ჩატარებისათვის. დებულება აღნიშნავს: „მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში მონაწილეობას იღებს მთელი პედაგოგიური კოლექტივი". კონკრეტულად განსაზღვრულია პედაგოგიური კოლექტივის ყველა წევრის როლი და მოვალეობა.

მაგალითად, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითის მუშაობაში პასუხს აგებს ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე სასწავლო პროგრამების შესრულებისა და სწავლების ხარისხისათვის. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი მონაწილეობს ფიზიკური კულტურის კოლექტივის ორგანიზაციაში და მის მუშაობაში. კლასის ხელმძღვანელები და მასწავლებლები ვალდებულნი არიან მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებმა დაიცვან დღის რეჟიმი, შეასრულონ დილის ვარჯიში, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ჩაბმას სექციებსა და წრეებში. უფროსი პიონერხელმძღვანელი აწყობს ფიზკულტურულ ღონისძიებებს, ეხმარება პიონერთა შეკრებების მოწყობაში ფიზკულტურულ თემებზე, ქმნის სექციებსა და წრეებს, აწყობს მშთ ნორმების ჩაბარებას.

დებულება გვაფრთხილებს ოვითეული სკოლაში შეკრებნათ ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

დებულების დასკვნითი ნაწილი აღნიშნავს, რომ საჭიროა შეჯამდეს ბავშვთა ფიზიკური აღზრდის დარგში მასწავლებელთა მუშაობის შედეგები. დიახ, ფიზკულტურაში არ არის და არ ყოფილა გამოცდები, მაგრამ ამიერიდან სასალსო განათლების ორგანოები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად მოვალენი არიან ყოველწლიურად შეაჯამონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები. (საკდესი).

მკურნალი, მეცნიერი

პროფესორ ალექსანდრე ჩუბინიძის 60 წლისთავი

ამასწინათ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის ნერვული სისტემის პათომორფოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექსანდრე ივანეს-ძე ჩუბინიძეს 60 წელი შესრულდა. იგი დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში, გლეხის ოჯახში. 7 კლასის დამთავრების შემდეგ 1925 წელს შევიდა ზესტაფონის სამრეწველო ეკონომიურ ტექნიკუმში, რომელიც 1929 წელს დამთავრა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1934 წელს.

ინსტიტუტში სწავლისას ა. ჩუბინიძემ დიდი ინტერესი და მიდრეკილება გამოიჩინა თეორიული მედიცინისადმი და საბოლოოდ არჩევანი პათოლოგიურ ანატომიაზე შეაჩერა. მუშაობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ვლადიმერ ყდენტის ხელმძღვანელობით.

პედაგოგიურ და პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ა. ჩუბინიძე ეწეოდა მეცნიერულ კვლევასაც. ომმა ხელი შეუშალა მას დაეცვა დისერტაცია. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ა. ჩუბინიძე ფრონტზე წავიდა, იყო ჯერ ამიერკავკასიის საფრონტო პათმორფოლოგიური ლაბორატორიის უფროსის მოადგილე, ხოლო შემდეგ ყირიმის ფრონტის პათანატომიური ლაბორატორიის უფროსი, 1942-1943 წლებში მონაწილეობდა კავკასიის დაცვის ოპერაციებში, 1943-1944 წლებში კი როგორც 46-ე არმიის პათანატომი მონაწილეობას იღებდა უკრაინის განთავისუფლებაში. სარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოდა წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

ომის დამთავრების შემდეგ 1947 წლამდე იგი დატოვეს არმიაში სამუშაოდ, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

1947 წლიდან ა. ჩუბინიძე ხელმძღვანელობს ახლად გახსნილ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პათმორფოლოგიურ ლაბორატორიას. მისი ინიციატივითსულ მოკლე დროში შეიქმნა ნერვული სისტემისა და ძვლის პათოლოგიის შემსწავლელი პირველი ლაბორატორია საქართველოში.

1948 წლიდან ა. ჩუბინიძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა.

ა. ჩუბინიძემ 1950 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბავშვთა პირველადი ტუბერკულოზური კომპლექსის პათმორფოლოგია". ნაშრომში წამოყენებული ძირითადი დებულებები გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა პირველადი ტუბერკულოზის შესწავლის საქმეში.

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტის პათანატომიური ლაბორატორიიდან, რომელსაც ა. ჩუბინიძე ხელმძღვანელობდა, გამოვიდა 10 საოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია ნერვული სისტემისა და ძვალ-სახსართა პათოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე.

ა. ჩუბინიძე საინტერესო მოხსენებებით გამოდის ნეიროქირურგთა საკავშირო კონფერენციაზე, მსმენელთა ფართო აუდიტორიის ყურადღებას იპყრობს მისი მოხსენებები, როგორც მეცნიერი პათოლოგანატომი, იგი პათანატომთა ყველა უკანასკნელი კონფერენციისა და ყრილობის მონაწილეა.

1960 წელს ა. ჩუბინიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1958 წლიდან დღემდე ა. ჩუბინიძე კლინიკური და ექსპერიმენტული ნეიროლოგიის ინსტიტუტშია, სადაც ხელმძღვანელობს მის მიერ შექმნილ ნერვული სისტემის პათმორფოლოგიურ ლაბორატორიას, რომელიც ერთადერთია ამიერკავკასიაში. აღნიშნულ ლაბორატორიაში თავის ახალგაზრდა პერსპექტიულ მოწაფეებთან ერთად იგი დიდ მუშაობას ეწევა ეპილეფსიის, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის და ნეიროონკოლოგიის მრავალი საკითხის შესასწავლად. სულ მოკლე დროში ახლადშექმნილ ლაბორატორიაში 100-მდე სამეცნიერო შრომა შესრულდა, მათ შორის 10 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორი ა. ჩუბინიძე 80-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, რომელთაგან სამი მონოგრაფიაა.

იგი ამჟამად ამთავრებს ახალ მონოგრაფიას, სადაც განზოგადებული იქნება ავტორის მიერ უკანასკნელი 20 წლის დაკვირვებების შედეგად მიღებული გამოცდილება.

სამეცნიერო-კვლევითი ძიების მრავალმხრივობაზე მეტყველებს ა. ჩუბინიძის სამეცნიერო შრომები. აი ამ შრომებში დასმული პრობლემები: თავის ტვინის სიმსივნეები; თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა; ცენტრალური ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი; ინფექციური სნეულებანი და ტუბერკულოზი...

აღნიშნულ პრობლემათა ცალკეული საკითხების შესწავლა, განსაკუთრებით პათმორფოლოგის მიერ, ძლიერ დაბალულ და შრომატევად მუშაობასთან ერთად მეცნიერის ცოდნის ღრმა დიაპაზონსა და ერუდიციას მოითხოვს. ამასთან ერთად უნდა დავძინოთ, რომ იგი მეტად მომთხოვნი და მკაცრია ფაქტების ანალიზისა და შეფასების დროს არა მარტო თავისი თანამშრომლებისადმი, არამედ საკუთარი თავისადმიც და ამიტომ ყოველი მისი შრომა სანდო და ობიექტურია.

თავის იუბილეს პროფესორი ა. ჩუბინიძე ხვდება ახალგაზრდული ენერგიითა და სულისკვეთებით. ჩვენ, მის ამხანაგებს, მტკიცედ გვჯერა, რომ სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მოქალაქე და მეცნიერი კვლავაც გაგვახარებს ახალი ძიებებითა და მიღწევებით.

ო. სიგუა,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სამივე შეხვედრაში გაიმარჯვეს

გრძელდება პოპულარული ტურნირები კალათბურთში — ევროპის ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებები. ამ ტურნირებში საბჭოთა კავშირიდან გამოდიან არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ლენინგრადის „სპარტაკის". ვაჟთა და რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის ქალთა გუნდები.

ჩემპიონთა თასის ერთ-ერთ მეოთხედფინალურ ტურნირში ვაჟთა გუნდებს შორის გამოდიან ცსკა, მადრიდის „რეალი", ბულგარეთის „აკადემიკი" და ბელგიის „სტანდარდი", მეორეში — ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საფრანგეთისა და იტალიის ჩემპიონები. 14 იანვარს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ თასის სამგზის და ოთხგზის მფლობელები (ცსკა და მადრიდის „რეალი". წარმატება საბჭოთა კალათბურთელებს ხვდათ 73:66 (39:32). თავიანთ გუნდს ყველაზე მეტი ქულა მოუტანეს: ცსკადან ჟარმუხამედოვმა (15), ანდრეევმა და ილიუკმა (12-12), „რეალიდან" — ბრაბენმა (25) და ლაიმა (16).

ამ გუნდების მეორე მატჩი შედგება მადრიდში 21 იანვარს.

ლენინგრადის „სპარტაკის" ვაჟთა გუნდი ბუქარესტში მეორედ შეხვდა ადგილობრივ „სტიაუას" თასების მფლობელთა თასზე, გაიმარჯვა 87:77 (48:45) და გავიდა მეოთხედფინალში, სადაც შეხვდება იუგოსლავიის „ზოდარს". „სპარტაკისა" და „ზოდარის" პირველი მატჩი გაიმართება თებერვლის პირველ რიცხვებში ლენინგრადში.

რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის ქალთა გუნდს 14 იანვარს პარიზში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირის პირველი მატჩი ჰქონდა იდგილობრივი უნივერსიტეტის საკლუბო გუნდ „ლერმონ-ფერანთან" და გაიმარჯვა 64:52 (37:25).

ლენინაურლა ოლაფსონი

ჰოლანდიის ქალაქ ბევერვიიკში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ჰიუბნერისა და პეტროსიანის პირველი ტურის პარტია, რომელიც ორჯერ იყო გადადებული, ყაიმით დამთავრდა. ანდერსონმა მოუგო მეორე ტურის გადადებული პარტია კორჩნოის.

მესამე ტურში გლიგორიჩმა მოუგო ვან-დენ-ბერგს, ოლაფსონმა — კუიპერსს, ანდერსონ-პეტროსიანის, ლენდიელ-კორჩნოის, ჰიუბნერ-დ ო ნ ერის, მეკინგ-ივკოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ორი პარტია გადაიდო.

ლიდერია ისლანდიელი გროსმაისტერი ოლაფსონი — 2,5 ქულა.

ოჭრო მეხუთეჯერ

რიგაში რამდენიმე დღეა გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობა ფიგურულ ციგურაობაში. წყვილთა შეჯიბრების შემდეგ სპორტული დავა ჰქონდათ ერთიულთა ასპარეზობის მონაწილე ვაუებს. აქ ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობდა ს. ჩეტვერუხინსა და ს. ვოლკოვს შორის. მოსკოველმა ს. ჩეტვერუხინმა ჩინებულად შეასრულა ნებისმიერი ვარჯიში და მუხუთედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს ს. ვოლკოვმა და ი. ოვჩინიკოვმა.

გუშინ ნებისმიერი პროგრამით გამოვიდნენ მოცეკვავეები. ხავალდებულო ვარჯიშის შემდეგ ლიდერები იყვნენ მოსკოველები ლ. პაბომოვა და ა. გორშკოვი.

ვ. ბ. ხოსარიძე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბოჭკოვანი მასალების ტექნოლოგიის კათედრის გამგემ **გიორგი ბესარიონის-ძე ჯოხარიძემ** მოსკოვის საფეიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ჩეჩვის პროცესის კვლევა და საჩეჩი მანქანის ძირითადი ორგანოების მუშაობის სრულყოფა".**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ბ. ჯოხარიძისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სამეგმეო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და სახალხო მეურნეობის ბალანსების განყოფილება: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2 საშტატო ერთეული. უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 6 საშტატო ერთეული.

2. მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის განყოფილება: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 4 საშტატო ერთეული.

3. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის განყოფილება: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2 საშტატო ერთეული. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2 საშტატო ერთეული.

4. მძიმე მრეწველობის განყოფილება: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 3 საშტატო ერთეული.

5. საქონლობრუნვის, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის განყოფილება: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 3 საშტატო ერთეული.

6. მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილება: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული. უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2 საშტატო ერთეული.

7. ბუნებრივი რესურსებისა და წარმოების გაადგილების განყოფილება: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული. უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 3 საშტატო ერთეული.

8. ეკონომიურ კვლევასა და დაგეგმვაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების განყოფილება: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2 საშტატო ერთეული. უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 5 საშტატო ერთეული.

9. კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილება: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული.

10. საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის ლაბორატორია: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 4 საშტატო ერთეული.

11. შრომის ნაყოფიერებისა და შრომითი რესურსების განყოფილება: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2 საშტატო ერთეული.

12. თვითღირებულებისა და ფასების განყოფილება: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მეცნიერებათა დოქტორებსა და კანდიდატებს, აგრეთვე სპეციალისტებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და პრაქტიკული მუშაობის სტაჟი შესაბამისი სპეციალობის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დიპლომების პირი, შემოწმებული არსებული წესის მიხედვით, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია.

კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების შეტანის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქ. № 16. ტელეფონი, 93-12-55, 99-75-15.

ვ. ქარსელაძის მემორიალი

ლიდერები არ შეცვლილა

გორი. 15 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნის ტურნირი ჭადრაკში დღითიდღე საინტერესო ხდება. დღეს გ. ერისთავის სახელობის თეატრში გათამაშდა მეექვსე ტური.

შეუპოვარი ბრძოლით გამოირჩეოდა შტეინ-ბოკუჩავას პარტია. წარმატება შტეინს ხვდა. ფურმანმა მოუგო პოდგაეცს, მიქაძემ — კუთარაშვილს, უბილავამ — გაგუას. პლატონოვ-გურგენიძის, საკონ-ჯინჯიხაშვილისა და ალექსანდრია-გუფედის პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ექვსი ტურის შემდეგ ლიდერებად რჩებიან ჯინჯიხაშვილი, გურგენიძე და გუფელდი. ჯინჯიხაშვილს 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, გურგენიძესა და გუფელდს—სამ-სამი ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია.

16 იანვარს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

რამდენიმე სტრიქონით

● **ქალაქ მარ-დელ-პლატაში** გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში არგენტინისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებს შორის. წარმატება არგენტინელებს ხვდათ ანგარიშით 2:0.

● ამერიკიდან მოჭიდავეთა დიდ ასპარეზობებზე შემოღებული იქნება მრგვალი ხალიჩა, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის შეხვედრებს. წელს ჩვენს მოჭიდავეებს არაერთი პასუხსაგები შეხვედრა მოელით. თებერვლის ბოლოს თბილისში შედგება ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 10 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მსოფლიო პირველობა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში შედგება სოფიაში 28 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე.

● **ალმა-ათაში** მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშება ჩქაროსნულ ციგურაობაში. სპრინტერთა ასპარეზობაში 500 და 1.000 მეტრზე წარმატებით გამოვიდა ვ. მურატოვი, 5.000 მეტრზე შეჯიბრებაში — ა. ჩიკულაევი.

ტელევიზია

16 იანვარი

09.25 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასასმარებლად ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.55 — მხატვრული ფილმი — „კოლეგები", 12.35 — კინონარკვევი, 13.15 — „შედეგრი" (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 14.30 — კინონარკვევი, 15.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ელობუსი" (განმეორებით), 15.55 — გერმანული სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „საფასურში სიკვდილიც შედის" (პირველი სერია), 16.55 — ციკლიდან „დიადი წლების ქრონიკა" — 1948 წელი, 17.20 — ახალი ამბები, 17.25 — კინონარკვევი, 17.40 — სატელევიზიო ჟურნალი — „ჯანმრთელობა", 18.30 — „ცეროდენას ეკრანი", 18.45 — ბავშვებისათვის. კონცერტი, 19.20 — ახალგაზრდობისათვის გადაცემა — „მე და ენგური", 19.30 — გადაცემა „ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა ქართულ საბჭოთა კინოში", 20.10 — კონცერტი (31 დეკემბრის გადაცემის გამეორება), 21.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.05 — მხატვრული ფილმი — „ბედნიერების დღე".

17 იანვარი

10.15 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა" — (გადმოცემა დონეცკიდან), 11.00 — მოსწავლეთათვის ქართული მხატვრული ფილმი „ტარიელ გოლუა", 12.15 — მუსიკალური კიოსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — „ეთერშია ახალგაზრდობა". სატელევიზიო სპექტაკლი „ეს არ მოხდებოდა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — პოლონური მხატვრული ფილმი „ქალიშვილთა შეთქმულება", 15.30 — „სოფლის მშრომელები" — საქართველოს სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — გერმანული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „საფასურში სიკვდილიც შედის" მეორე სერია (ქართულ ენაზე), 17.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორბებისათვის, 18.20 — საეტრადო გასართობი პროგრამა, 19.05 — კინომოგზაურთა კლუბი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ" ორჯონიკიძის რაიონი, 21.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. საჩვენებელი გამოსვლები (გადმოცემა რიგიდან), 22.00 — „მოამბე". — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — კონცერტი (1 იანვრის გადაცემის გამეორება).

ციპატრები

16 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჩიო-ჩიო-სანი (მე-14 აბონ. მე